

# მეფემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისა დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
შავე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრთ იყოს სინარული ცთა შინა, ერთისათვის ცლადილისა. ლუკ. 15—4.  
შოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-ამძიმენი და მე ვანგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 18

1883—1905

30 სექტემბერი

## იოანე მოძრაობი, კოპორე მადამბეზილი მითობისა. \*)

საერთო მოძრაობამ ჩვენი დარბაისული და მდოვრე რაქველიც აიყოლია; ეს ჩვენი ფიქრით ღრიად სანუგეშო ნიშანია, მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ უვიცა და ჭვანდილების ხურუშითა შეპყრობილმა მქადაგებლებმა ისე დომბალივით აურია ხალხი, რომ ძალდი პატრონს ვეღარ სცნობს! არა მიხედველი მისა, რომ არავითარი სამეცნიერო მომზადება არა აქვთ, ისინი თავის პირდაპირ საგანს უხვევენ და, ეპოტინებიან იმისთანა სახენაო საგნებს, როგორც არიან სარწმუნოება და ზნეობა. თქვენი ცოდვის მტერთველი ვიყო თუ იმათ, ან საღეთო მტრეველები, ან საეკლესიო ისტორი-

ილამ და უფლებილამ რაიმე იცოდენ და გაეგებოდესთ, ან წაეკითხოთ? თუ ვინმემ გაჰბედა და სიტყვა შეუბრუნა ამ ვაჰატონებს ისინი მაშინვე უღირს საშუალებას მიჰმართვენ და ხალხთან უსირცხვილოდ დაუწყებენ ბეზლობას: რომ მავანი და მავანი თქვენი მტერი არის და იმას არასდერში ნდლოთ; ის რომ თქვენი მტერი არ იყოს როგორ გაბედავს ჩვენ, პარტის წარმომადგენლების, წინააღმდეგობასა და სხვა. დავიჯეროთ რომ პარტია იმისთანა უვიც და უბირ პირებს ავადლებს მიყრუებულ სოფლებში თვისი პარტიული სწავლა მოძღვრების გავრცელებას? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს ვაჰატონები სოფლებში, სადაც უფრო ერთი ჩვენი სოფელი მოუზნადებელია და ყოველივე ნათქვამი, თუ კი ვინმემ ის უთხრა რომ პარტილამ წარმოგზავნილი არის, ბრმად სჯერა, გაკეთების მაგიერ საქმეს სულ

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური



წახდენენ და სარგებლობის მაგიერ დიდ ზარალს მოიტანენ. საჭმე იმაში გახლავთ რომ იმათ არც თავისი პარტიის სწავლა მოძღვრება აქვთ ხეირიანად შესწავლილი და არც სხვისი. სანიმუშოდ აღენიშნავ შემდეგ ფაქტს. ერთმა ავთმა ვაებატონმა, როდესაც ის სიტყვაში მაგრათ ჩაიჭირეს, გაიწმინტა და ამ სიტყვებით მიმართა შეკრებულ ხალხს: „ძმებო, წმინდა მამები, და მათშორის იოანე ოქროპირიც, შარლატნები და ხალხის მტრები და მყელფეფლები იყვნენ, როგორც ჩვენს პოლიციელებიო“. ზნეობითი განხრწნილება და კანდიერება მგონი ამაზე მეტს ვედარ წვიდეს! ამიტომ მწერლობის საშვალეობით განვიზრახე გავაცნო ქართველ მდაბიო ხალხს მოკლედ, როგორც იოანე ოქროპირის ბიოგრაფია, ისე მისი მოძღვრების უმთავრესი დედაძარღვი, რათა საზოგადოებამ ცხადად დაინახოს ზოგიერთ ზნეობა—გონებით გაკოტრებულ, გახუნებულ ევაბატონების თავხედობა და კანდიერება. ამ მცირე შესავლის შემდეგ გადავიდეთ თვით წერილის პირდაპირ საგანზე.

ქრისტიანობის უდიდესი მქადაგებელი იოანე ოქროპირი ითვლება ნამდვილ წარმომადგენელად, იმ გონდამაფიქრ ხანისა, როდესაც ქრისტიანობა, მახლობელ წარსულში შეურაცხადელი და დამდაბლებული; უახლოვდებოდა იმ მომენტს, რომ იგი შექმნილიყო მთავარ სარწმუნოებად და ხელში აეღო არამც თუ სულიერი, არამედ ნივთიერი მახვილიც.

ზნეობითი ფილოსოფიაში და მის ისტორიაში იოანე ოქროპირს, როგორც მქადაგებელს გამსჭვალულს თავდაპირველ ქრისტიანობის სულით საპატრიო ალაგი უკავია; იგი სრულად მოკლებულია ბოლო ხანების კომპრომისებს ტ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა მორჩილებას. ჩვენს ვაჭრულ და ზნეობით გათასხირებულ დროში შესწავლა იოანე ოქროპირის ქმნილებათა უნდა უჩრჩიოთ ყველა იმათ, რომელთაც ჯერ კიდევ არ დახშობიათ გრძობა და შეგნება ქრისტეს ღიად მოძღვრებისა.

თვით ცხოვრება ამა საკვირველი კაცისა ყველასაგან ღირს საცოდნელია. —იოანე ოქროპირი დაიბადა 347 წ. ანტიოქიაში და შემდეგ მამამისის სეკუნდის სიკვდილისა, რომელიც (მამა) წარმართი იყო, აღიზარდა დედისაგან შესანიშნავ წარმართ მქვერმეტყველის ღიბანის ხელმძღვანელობით. მია-

ნათლა იგი ოცის წლისა და, მაგალითისამებრ იმ დროინდელი ქრისტიანებისა, იწყო სასტიკი და მკაცრი ასკეტური ვარჯიშობა და ცხოვრება ანტიოქიის მილანოებში. ავთამყოფობამ იძულებული ჰყო დაბრუნებულიყო ქალაქში, სადაც მოკლედ დროში მღვდლად და როგორც მქადაგებელმა, გასაოცარი მქვერმეტყველების ნიჭი გამოიჩინა. ამ უბრალე ქადაგებისთვის მას ერთმა ქალმა უწოდა: „ოქროს პირად“, რის შემდეგაც მას ოქროპირი დაერქვა.

განსაკუთრებით სახელი გაითქვა მისმა ქადაგებებმა (ბერძნულად გომილიი) წარმოთქმულმა ანტიოქიის აჯანყებისა 387 წელს. ბიზანტიის იმპერატორის არკადის მიერ 398 წელს იგი დადგენილ იქნა კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსად, აქ იოანემ თვისი მკაცრი ქადაგებით და პირში მხილვებით მიმართულს, უმთავრესად, წინააღმდეგ მდღერებისა, რომელთაც მარტოოდენ გარეგნობით ჰქონდათ მიღებული ქრისტიანობა, გადაიკვდა სასახლის დიდკაცობა და თვით იმპერატორიცა ევდოქსია. ყველაზე მედგარი მტერი მისი იყო ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი თეოფილე, რომელიც აბრალებდა ოქროპირს ორიგენის „მშველდლობას“. იმპერატორის ავარაკში დიდი მუხის ჩრდილქვეშ შეიკრინა სინოდი ეპისკოპოსებისა თეოფილეს თავმჯდომარეობით. იოანეს დააბრალეს იმპერატორის გალანძვა და საეკლესიო ქონების გაფლანგვა (ის უხვად აძლევდა ღარიბებს და, ბერებს სიმღიდრის შეკრების ნებას არ აძლევდა). იოანე გადააყენეს და იძულებული იყო გასცლოდა კონსტანტინეპოლს, მაგრამ მისი სამწყსო ერთპირად წინააღმდეგა ასეთ უკანონო გადაწყვეტილებას და თხოულობდა იოანეს დაბრუნებას ასე რომ იმპერატორი იძულებული ჰყვეს დაეთმო. მაგრამ ხელახალმა შეტაკებამ ევდოქსი იმპერატორისათან ისევ აუჯანყა მტრები იოანეს. წმიდა იოანემ წარმოსთქვა ქადაგება, რომელიც დაიწყო შემდეგი სიტყვებით: „აჰა იროლიადა კიდევ ბორგავს—გაშმაგებულ არს, კიდევ ცეკვავს, კიდევ თხოულობს იოანეს თავს“. ევდოქსია ძლიერ განრისხდა და განდევნა იოანე ტავრის უდაბნოში ექსორიად. სამწყსო ძლიერ ნაღვლობდა და ამბობდა: „იოანეს ბაგის დადუმების უმჯობესი იყო სრულიად მზე დაბნელებულიყო“. იქიდან ოქროპირი წერილებით ამხნეებდა სამწყსოს და ამიტომ



ის გაგზავნეს უფრო შორს—შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას, სადაც მან ვეღარ მიაწია ბევრი წვალღბისა და ავათმყოფობისა გამო და გზაზე გარდაიკვალა ქალაქ კომანაში. მას ოქრობირი გარდა უწოდებდნენ აგრეთვე „მოწყალეობათა მრიგებელს“.

იოანე ოქრობირის შეხედულებანი შვიდრათ არიან დაკავშირებული იმ საქმეთა ნამდვილ მდგომარეობასთან, რომელიც არსებობდა პირველ სამოციქულო საქრისტიანო საზოგადოებაში. თავის მეფეთრემეტე ქალაქებში მას მოჰყავს ციტალები „მოციქულთა საქმრამი“ და ხსნის შემდეგ კონკრეტარებით: «იმ დროს ყოველივე ეს ხდებოდა მისაგან, რომ არავინ მათგანი თვისი ქონებიდან თავის საკუთრებად არაფერს არ თვლიდა, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ. მადლი სადგურება მათში, ასე რომ არც ერთს არაფერი არ აკლდა; ერთი მეორეს ისე გულმოდგინეთ უწყევდნენ დახმობებას, რომ მათ შორის ღარიბი არ იპოვებოდა. იმიტომ რომ ისინი ძმლებდნენ არა ნაწილს თავისი ქონებისას, არამედ სრულიად ყველაფერს იმნაირად თითქო და მათი საკუთრება არცკი ყოფილიყოს. იმათ მოსპვს უთანასწორობა და ყოველივე ბევრი ჰქონდათ. ისინი ამას სანაქებოდ ასრულებდნენ. ისინი თავმოწონებოთ და ამპარტანებულად პირისპირ ხელში კი არ იძლეოდნენ მოწყალეობას; იმათ ყველაფერი მოციქულების წინ მოჰქონდათ, ხალო ეს უკანასკნელები აწესრიგებდნენ და არიგებდნენ შეწირულებას. ვისაც რა ეჭირებოდა მას ის მიჰქონდა საზოგადო სათადარბო ქონებიდამ და არა ცალკე წევრების საკუთრებიდამ. ამას ის მოსდევდა რომ შემწირველთ თავი არ მოჰქონდათ იმაო სულ დიდებობით. ჩვენც რომ ესლა ისეო ვიქცეოდეთ შეგვეძლო უფრო ბედნირათ ცხოვრება მდილართაც და ღარიბთაც. ღარიბები მდილრებზე უფრო მოგებაში კი არ იქნებიან ამით, იმიტომ რომ შემწირველები თვითონ კი არ გაღარიბებოდნენ, არამედ ღარიბებს გაამდილრებდნენ. წარმოვიდგინოთ შემდეგი: ყველამ საზოგადო კუთვნილებად გასცა რაც რამ აქვს. ამან არავინ არ უნდა შეაშინოს არც ღარიბები და არც მდილრები! რას ფიქრობთ ბევრი ფული შეიკრიბება? დანამდილობით თქმა არ შემიძლია, მაგრამ ეფიქრობ, რომ თუ ყველანი გაიღებენ, მთლათ თავისი ოქროს, საცხოვრებელს, სახლებს,—მონებზე არა ვლაპარაკობ, რადგან სულ პირველ ქრისტიანებს

ისინი არა ჰყოლია, იმიტომ რომ საფიქრებელია ათავისუფლებდნენ—შეიკრიბება 1 მილიონი გირვანქა მარკომდე ანა და ორჯერ ან სამჯერ მეტი. (სიტყვა პირველი კოსტანტინეპოლის შეეხება). ახლა, მიიხაროთ მე, რამდენი დადიანი იქნება ჩვენს ქალაქში? რამდენი ქრისტიანი? ნუ თუ ასი ათასი არ იქნება? ხოლო რამდენი წარმართნი და ურიანი? რამდენი ათასი გირვანქა ოქროს შეკრება შეიძლებოდა? რამდენი ღარიბი გვეყოლება? მე არა ვფიქრობ, რომ მათი რიცხვი 50,000 მეტი იქნეს. რა მოუხდება იმათ საზრდოად დღეში? თუ რომ ისინი ისახრდობენ საზოგადო სუფრიდამ მადლენი ხარჯი არა წაყარა. ესრედ, რა უნდა უყუთ ჩვენ აუარებელ სიმდილრეს? ჰფიქრობ, რომ ისინი დაილევინ? მაგრამ არა, ასწილად უფრო მეტი გადმოვა ჩვენზედ ღვთის კურთხევა. თუკი ყოველისავე ამის შესრულება და განხორციელება შესაძლებელი იყო სამი ათას ანუ ოთხი ათას პირველ ქრისტიანებისათვის, ისე რომ არავინ მათგანს არა აკლდა-რა, რამოდენ წილ უფრო ადვილი შესასრულებელია ჩვენ ამოდენა ხალხისათვის?..

თავის იდეა, ქვეყნიურ სამოთხებზე, დიდებულმა მქადაგებელმა ლამის დაამტკიცოს ნამდვილ პრაქტიკულ მოსაზრებითაც, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელიც იგი დიდებს ქონებათა გაუყოფლობას დიდ ოჯახებში. იგი მეტეობას დააფუძნოს დიდებული ორგანიზაცია იმ გამოცდილებაზე, რომლებიც ამოდებული იქნეს პატრიარქალურ ოჯახების ურთიერთ შორისა განწყობილებიდან. მიუხედავით მისა მართალია თუ არა ასეთი მოსაზრება, თვით იდეა ქვეყნურ სამოთხისას მეტის-მეტი შესანიშნავი და საყურადღებოა. იგი ნათლად ამტკიცებს თუ რამდენათ სცდებიან ის ვაჟბატონები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იმ დროში ქრისტიანული ქალაქება ეხებოდა მარტო-ოდენ ზეცას და არა ქვეყნიურ ცხოვრებას.\*)

მ. ფლ. ფ.—ქე.

\*) დაიღ, ამისთანა მქადაგებებს ღანძლენ და ვადაც მარკს კარტაქსებს აღმურთებენ!.. გულათის ტაძრას წარწერებს აღმსწესეს ძეგლს უდგენ და თვით ამ დიდებული ტაძრას აღმსწესეს, დავით შეფეს, იფიქვებენ!..

## მავდრის რჩევა.

(რუსულიდან).

ბაბლონის მეფის ღიღის რამზუნის სასახლე მოცული იყო სრულის მყუდროებით; კარის კაცები დახეტიალებდნენ უზმოდ როგორც აჩრდილნი. მეფე იწვა მძიმე ავადმყოფი. მისი სიცოცხლის ღდენი ჩამოთვლილი იყო. სიკვდილის ღდეს მან მოუწოდა თავის მეგვილრეს მენფეტას და უთხრა: შვილო ჩემო, მალე შენ ახვალ ტახტზე და დაიქვრ ჩემს ადგილს; მძიმე არის ეს მეგვილრება. ოხ, რა მწყენს რომ სიბრძნე ცხოვრებისა მომიპაიროვდა სიბერის დროს, მაშინ როდესაც მე არ ძალმძის მითი სარგებლობა. მიიღე ჩემგან ეს დარიგება: „ნუ წამაძახე მე; მხოლოდ სახელი, მტრებზე გამარჯვება, დამორჩილება სხვა ხალხთა და დაპყრობა სხვათა ადგილთა შეადგენდნენ ჩემი მეფობის უმთავრეს მიზანს; ყველა ამებს მე მივალწიე, მაგრამ რითი, როგორი სასყიდლით? მე დივანგრიე ასობით ქალაქები, ავაოხრე აყვავებული ქვეყნები, დავლუბე ასი-ათასობით ჩემი და სხვისი ჯარისკაცი, ვაყენებდი სისხლის ღვარს და ცრემლთა ნაკადულს. მე მაქვდენ, მეგებზღბოდენ ალტაცებულის ყვირილით. მაგრამ ახლა ყოველივე ეს სდუმს; ოხერა დაქრილთა და ტყვეთა, მოთქმა დაობლებულთა ძლიერ ავიწროებენ ჩემს ყურთა-სმენას. ბრძოლით დამპყრობნი არიან უგნურნი. ხალხთა დამონებისა და ქვეყნებთა დაპყრობაში არ არის ქეშმარიტო სახელი მეფისა. შენ ჩემო შვილო გეყოლებოდა ურიცხვი მტერი შენს საკუთარ სამფლობელოში. სიღარიბე ხალხისა, შიმშილი, ავადმყოფობანი, შევიწროება სუსტთა და უსამართლოება მძღავრთა; დრო არის რათა გაუსწორდენ ამ მტერს. ისე არასფრით არ ძალგდის ისახელო თავი, როგორც მითი, თუ მშვიდის, ბრძუნლის მართლ-მსაჯულის მეფობით გააბედნიერებ შენს ქვეშევრდომთა. იცოდენ შვილო, რომ მეფის მოქმედების მიზანს უნდა შეადგენდეს არა პირადი ქება-ღიღება, არამედ კეთილ-ღიღება ხალხისა. შენ ჯერეთ ყმაწვილი ხარ; იყავი თვ-დაქერილი; ნუ მიენდობი მლიქვნელთა ტყბილ სიტყვას. მწარე წამალი ჰკურნავს ნუნელთა, ხოლო სიტყობება ღუპავს ჯანმთელობას. გასოვდეს რომ, ახლა, როდესაც შენ ტახტზე შედის, კისერზე გაწვეს მძიმე უღელი სასახურისა — რომ ამიერიდან შენ ხარ ხალხისათვის

და არა ხალხი შენთვის. როდესაც სამკინო იქნეს შენთვის რჩევა ვისიმე, მიმართე შენ ძველ აღმზრდელს, ბრძენ გიკოსს. ახლა-კი მშვილობი! ღდეს შენის ტახტზე ასვლისასა ზეცა იყოს შენი მოლოცველი, ხოლო ღდესა სიკვდილისასა ხალხი გლოცვიდეს შენ.

მოკვდა რამზუნის, რომელიც იქაური ჩვეულ-ბისამებს შემურეს წამლებით და დააყუდეს კატაკომბაში. ტახტზე ავიდა მენფეტა. ყველანი ელოდა, რომ ყმაწვილი მეფის ტახტზე ასვლის თან მოჰყვებოდა ნაღიმი, ბრწყინვალე ღდესასწაულნი და მრავალ-გვარი საჩუქრები კარის-კაცთათვის, მაგრამ მოსტყუედნენ. მეფე სრულიად გაიტაცა საქმეებმა: ესწრებოდა განმზრახთა საყრებულოებს, იკვლევდა სჯულის კანონებს, ხშირად შამოუფელიდა და ნახულობდა თავის სამფლობელოს, ვაჰყავდა გზებში, იღებდა არხებს და სოხრიდა ქებს. ის შრომაბუნა განუწყვეტელი და კარის კაცთაც აძილებდა ასევე მოკეტულიყენენ. ბევრს არ მოსწონდა მეფის ასეთი საქციელი და ხშირად ეუზნებოდნენ მას: „მეფე, უმჯობესი იქნება შენ დიხსენო ტეგაერთო; ოღონდ გვიბრძანე რა ჩვენ შხადა ვართ გავმართოთ შენთვის ისეთი ნაღიმი, რომ მისმა ბრწყინვალეებამ ქვეყნიერობა გააკვიროვს. არა, უბახუხა მეფემ, როდესაც ბავშვები ავად, ან მწუხარებაში არიან, მამას არ ძალუძს მხიარულობა. მეც არ შემძლია მხიარულება სანამ ხალხშია სუფევს ათასგვარი საჭიროება. გავიდა სამიოდ წელი, ყველგან გამეფდა მშვიდობა და მართლ-მსაჯულება; ხალხი გაიმართა წელში; ხელახლა გაშენდნენ სოფლები, გაფართოდენ ქალაქები; ყველას მხიარულება და კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე და ყველანი სიყვარულით იხსენიებდა მეფეს. ხოლო სარდალნი და წარჩინებულნი იყენენ უკმაყოფილონი და მოწყენილნი; რამზუნის დროს ისინი იყენენ ღიღს პატევსა და ღიღებაში; ღებულობდნენ მეფისაგან ძვირფას საჩუქრებს და ომიანობის დროს სარგებლობდნენ ღიღძალი ნაღვლით. ახლა კი ისინი იყენენ მიჩქიტალი მათ მოსწონდათ უსაქმოთ ყოფნა; მიმართეს მენფეტას. აჯულიანებდნენ მას ომისთვის და ალტაცებულის ხმით ეუზნებოდნენ: „მეფე, გავიწვი ომში; სამშობლო ღიღს განსაცდელში არის; ძალა მტრისა თანდთან იზრდება. შენმა ძლიერმა მამამ შემუსრა ძალა მგზობელ ხალხთა; შენი მეფობის დროს კი მტრები ღიღს





კრებენ. გვიანლა იქნება როდესაც მტერი სრულებით გაიმარტება წელში და თითონ დაგეცემათუ კი სამშობლოსათვის კეთილი ვესურს, მეფევ, გავიწვი საომრად. ჩვენ ყველანი მზადა ვართ შენს სახელს შევსწაორო ჩვენი სიცოცხლე; გვაჩვენე, მეფევ; რომ შენს სიყმაწვილეს თან უერთდება ვასაოკარი სიმამაცე. მოჰფინე მსოფლიოს დიდება შენის სახელისა; დეე ქვეყნის კიდემდე იყოს განთქმული სახელი დიდის მანეფტასი\*.

მოიხილეს ყმაწვილი მეფის გული გაიძვერულმა სიტყვებმა; მათ, როგორც ტკილობა სასმელმა ათვრეს გონება მეფისა. მეფემ იწყა მზადება ომისათვის; ჰკრებდნენ ჯარსა, ამზადებდნენ სანოვავეს და სქედადენ იარაღებს. შესდგა მეურნეობა, მცხოვრებთ ჩამოერთვათ პური და სხვა სანოვავე, მქედლებმა მიატოვეს გუთნის, ცელის და ნამგლის მზადება. მწუხარებით იქნენდა გიკორი თავს და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როდესაც მეფე ჩამოავდებდა მასთან ღაპარაკს, მაგრამ ვეღარ მოითმინა და უთხრა მეფეს: «ჩემო კეთილო მენეფტა, ნუ აპყვები გაიძვერულ სიტყვებს, ნუ ეძებ დიდებას მეზობლისაგან, როდესაც შეგიძლია იგივე დიდება მოიპოვო შენს საკუთარ სახელში; დიდებულები მის კი არ ეწოდება, რომელიც ელეტს ხალხს, აოხრებს ყველაფერს, აყენებს სისხლის მორავს და ცრემლთა ნაკადულს; დიდებულება ის ვისაც ყველგან ეგებებიან უანგარო სიყვარულით; ვისაც როგორც მესეს, შეაქვს ხალხში სითბო, სინათლე, მზიარულება და მაცოფილებს. ნუ გეშინია შენ შენი მტრების: უჯეთუ მათი ძალა ძლიერდება, შენი ძლიერობაც ხომ არ სუსტდება. დრო არის მეფევ, რათა ხალხმა გადაავლოს ველური ჩვეულება, კბინოს და ქამოს მეზობლები, და მასთან ვიფიქროთ, რომ მეზობლებიც ამასვე ფიქრობენ. დარწმუნებული იყავი ჩემო აღზრდილო, რომ სხვა მხარეების მცხოვრებთ, როგორც შენ ხალხს უნდათ ერთი რამ,—მშვიდობიანი წესობა და თავის ცხოვრების გაუმჯობესება; ნუ შეუშლი მათ ხელს ამ კეთილ საქმეში. არ იმოქმედა გიკორის ბრძნულმა დარიგებამ მენეფტაზე; ის იყო მოწამილული პირ-ფერობით; გონება მისი გაუღენთილი იყო ფიქრებით, რომ ის მთელ ქვეყანაზე გაითქვამს სახელს, რომ იმის ეტლის უკან რკინის ბორკილებით წავლენ ტყვედ ჩავარდნილი მეფენი და წარჩინებულნი და ეს დიდის დიდებით შესაძ-

ლება სხვის სამფლობელოში. კარგად დაუთქვი დ მეფევ, ვშიშობ თითონ არ ვაება ხიფათი; ბედი ომიანობის დროს ძნელი დასანდობია. ნუ გეშინია ჩემო მოხუცო გიკოს, მე ყველაფერი წინდაწინვე მოვისახრე; მრავალგზის ვკითხე ქურუმ-მოკთხავებს და ისინი მპირდებიან მტრებზე სრულ გამარჯვებას. საღეთო გველემზამმა, როგორც ქურუმნი მარწმუნებენ, როგორც გაიგონეს სიტყვა «ომიანობა» მსწრაფლ შეინავარდეს თავიანთ აუხეშში; საღეთო ყანი უანგარიშით ყლაპავდა ბაყჩაბს და ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე უანგარიშით გაველტავებ მტრს; საღეთო კატები კი, რაც მე თითონ გავიგონე გულის მოწყულელი ხმით გაქნადენ დიაუმილაუ, ე. ი. წადი წადიო. ყველაფერი ეს, მეფევ, არის გაიძვერობა და მზაკვრობა შენთა კარის-კაცთა; დაუთქვი და ნუ ჩქარობ. გველემზანი ყოველთვის ხტიან და სტურავენ წყალში, განსაკურებით მაშინ, როდესაც ელიან საქმელს; ყანი, როგორც შენ, თუ რამდენსამე დღეს დარჩა მშვიერი—ხარბად დაუწყებს საქმელს ქანქავს; რაც შეხება კატას კი, მეც შენი უღირსა მონა ვკისრულობ ვანავო, თუ კი დაუწყებ მას წყნარად კულისა სრვასა. და მარტო ეს ხომ არ არის, გააწყვეტინა მენეფტამ, მე მოვიხილე მითხავი. ის ცხრილავდა ფქვილს ცხრილით და მეუბნებოდა: როგორც ეს ფქვილი აქეთ-იქით იფანტება, ისე გაიფანტებიან შენი მტრებიო. გაციინა გიკოსს და უთხრა: დიდი ვერავი და მატყუარა არის ის შენი მითხავი, ცხრილი თითონ არ ღაპარაკობს და მასთან შეგიძლია ილაპარაკო რაც გნებებს, ის მიწაღმდებობს არ გაგოწმებს. თუ ვესურს, მეფევ მეც შეგებრუნებ ცხრილს და გეტყვი: ხედავ როგორ მიქრი-მოქროდა ფქვილი? ისე მიიღეწება შენი ჯარი ომის ველზედ. რას იტყვი შენ ამაზე?—მასხარა ხარ შენ გიკოსო. ნუ-თუ სტყუოდა ვარსკლავთ-მრიცხავიც, რომელმაც ვარსკლავებზე მიწინასწარმეტყველა მე სრული გამარჯვება. ისა სჯობია გიკოსს დაანებო თავი უზრარლო ღაპარაკს და მოხებდა ჩვენთან გამოსათხოვარ საიღრზე. მწუხარებით ამოიხენეშა გიკოსმა და სთქვა: ცხადია, მეფე დაუმონებია მლიქვნელთ და მე არ ძალ-მიძს გამოვიყვანო იგი ამ მონაობისაგან. იძულებული ვარ მივმართო მიცვალებულის რამზუხის დახმარებას. არ მინდოდა, მაგრამ ახლა უნდა გამოვავაჰკარავო საიდუმლოება. მეფევ, აქამდე შენ უჯეროდ



ცხრილს და ახლა გაუგონე მიცვალეფულსაც. წაი-  
დეთ მამაშენის საფლავთანა—მკვდრები არ ისმენენ  
და არ ლაპარაკობენ, უპასუხა მენეფტამ, ისინი  
არიან მუნჯნი და ყრუნი. მართალი არის, უპასუხა  
გიკოსმა, მაგრამ ასეთივე მუნჯები და ყრუნი არიან  
ის შენი ცხრილი და ვარსკლავებიც, შენ კი უჯე-  
როლი მათ, თათბირობდი კათებთან, ყანთან და  
გველუშპთან, მიიღე რჩევა მამისაგანაც. დაუჯერა  
მეფემ გიკოსს, ჩაეშენენ კატაკომპაში; ახადეს სამი  
ოქროს სახურავი კუმბოს, სადაც ფეხზე მდგომი  
განისვენებდა ხეული ფარაონ რამზეზისა. აღელდა  
მეფე, ცრემლები თვალეზზე მოადგა, მაგრამ გას-  
წორდა და ნელის ხმით წაიბუტბუტა: „შენ ხედე  
გიკოს, რომ მიცვალეფული გაიწუმებუღია? ჩვენ  
ტაუილად ვაიწრო... მეფემ ვეღარ დაათავა. გიკოსი  
შეგხო მიცვალეფულს ბეჭზე და მიცვალეფულმა  
გამზმარი ხელი, რომელშიდაც ქალადლის გრაგნილი  
ეჭირა წინ გასწვდა თითქოს მენეფტას აძლევდა.  
ნუ გეშინია, მეფე, ამაგრებდა გიკოსი მენეფტას,  
მიცვალეფული რჩევას გაძლევს წაიკითხე. მეფემ ჩა-  
იხედა გრაგნილში და ეძიიდან ამოიკითხა:

ვერ დაინახავ მზესა ღრუბლებში  
და ნურც ეძიებ სიბრძნეს გაიდევრულსა სიტ-  
შენ გასურს დაიპყრო მთელი ქვეყანა? [ცუვებში.  
გახსოვდეს რომ ჩვენ სულ ყველა,  
გადავიქცევით ერთ მუჟა ბტვარადა.  
ჩვენს შემდეგ რჩება მხოლოდ კეთილი  
და ის ინათებს ცეცხლის ფერადა.  
ჩაფიქრდა მენეფტა. დადხანს იღვა ის გრაგნი-  
ლის წინ. მოაწია საღამომ; მზე ჩაესვენა. მეფე კი  
უძრავად იღვა კატაკომპაში. გვიან ღამით კი ჩუმიად  
გამოვიდენ ვარედ.— „ხელა, ჩემო ძვირფასო აღმზრ-  
დელი, გაუშვი ჯარი, თავ-თავიანთ სახლში დაბრუნ-  
დეს ყველა“, ეუბნებოდა გამოთხოვების დროს მე-  
ნეფტა გიკოსს. „სანამ ცოცხალი ვარ ომი აღარ  
იქნება ჩემს სამეფოშია. ბაბილონში ხელ-ახლა ვა-  
ისმა მხიარული სიმღერა, ხალხი მიეცა მშვიდობიან  
ცხოვრებას და მთელი ქვეყნიერობა აქებდა მშვიდო-  
ბის მოყვარე მენეფტას.

მღვ. მინა მესხა.

წიგმი სვანეთი.

III.

ხალხის ზე-ჩვეულებანი,

«ლიფანელი».

სვანეთში, როგორც ძველ და მიუვალ ქვეყა-  
ნაში, ბევრი ისეთი ჩვეულებებია დარჩენილი და  
შენახული, რომლებიც ხსენება სხვა საქართველოს  
კუთხეში დიდი ხანია არ არსებობს. ერთი ამგვარი  
ჩვეულებებთანაა არის მიცვალეფულთა სულის თაყ-  
ვანისცემა, რასაც (ჩვეულ.) სვანები „ლიფანელს“  
ეძახიან, ეს სიტყვა პირდაპირ რომ ესთარგმნოთ  
ნიშნავს მოფენას (სულთა).

«ლიფანელი» იწყება ყოველთვის ნათლისღების  
წინა დღიდან (5 იანვ.) და გრძელდება იმის და მი-  
ხედვით, თუ რა დღეს შეხვდება ეს უკანასკნელი.  
მაგალითად ვსთქვათ, რომ ნათლისღება ხუთშაბათს  
შეხვდა; მაშინ ლიფანელი დაიწყება ოთხშაბათს და  
მომავალ შაბათის სწორამდე გავრძელდება; ესაა  
ვსთქვათ, რომ ნათლისღება კვირას შეხვდა, მაშინ  
შაბათს დაიწყება და სწორამდე გავრძელდება ამ  
ნაირად, ეს ჩვეულება პირდაპირ დამოკიდებულია  
იმაზედ, თუ რა დღეს შეხვდება ნათლისღება და  
ამის მიხედვით ხან უფრო დიდ დროს გასტანს და  
ხან უფრო ცოტას.

იმ დღეს, რა დღესაც ლიფანელი იწყება ე. ი.  
ნათლისღების წინა დღეს, სვანები ეძახიან «ადგომ  
ლადღესს»—სულთა აღდგომის დღეს. ამ დღეს მათი  
წარმოდგენით, ყველა ამ დრომდე ვარდაცვალეფულ  
თა სულები აღსდგებიან და თავთავიანთ ოჯახებში  
დაბრუნდებიან. ამიტომ მათ (სულელები) რომ სუფთად  
დაუხვენენ, ამ დღეს დილიდანვე შეუდგებიან ყველა  
ქურტყელულობის დაწმენდას და საზოგადოთ ოჯახის  
დასუფთავებას, ამ ჩვეულების გარდახდის დროს  
აღკრძალულია არა თუ ყოველნაირი სიმღერა, არა-  
მედ ხმაილადა ლაპარაკიც კი, რომ «სულეები» არ  
შეწუხდნენ და არ დაფრთხნენ. საღამოს, ვახშობის  
დროს, გააწყობენ ერთ დიდ სუფრას, დააწყობენ  
ზედ პურებს, რომლებშიც სანთლებს ჩააბჭობენ;  
შემოდგმენ არაყს და შეჭამაინს. ამ „ადგო“ დღის-  
თვის შეჭამადათ ხმარობენ ყოველთვის საშარხოს და  
მათ შორის ყველაზედ უფრო კი კაკლათ გაკეთე-

\*) იხ. „მწეფისა“ № 71, 1905 წ.





ბულ ცერკვის ან ლობიოს. ამას იმიტომ შერებინან, რომ მიცვალ უბუღლები ბევრი გვყავს და იქნება თითო მათგანს თათო. ცერკვის ან ლობიოს მარცვლი მაინც ჩამოხედეს და უშეშემალოთ არაიენ დაგვრჩენო. ამნაირადვე გააწყობენ ერთ კერძს ცალკე, კერძის ძირში და უძახიან მას (ჩაღვას); ეს კერძი არის განმზადებული კოქლ-გარდაცვალებულთა სულენისათვის, რომელსაც სხვა გარდაცვალებულთა სულებს არ შერევენ ხოლმე. თავადთა ოჯახებში, ამ ჩვეულების გადახდის დროს, გარდაცვლილ თავადთა სულენისათვის ცალკე სუფრას აწყობენ ხოლმე, რასაც „ვარგის ტაბას“ ანუ სათავადო სუფრას ეძახიან. როდესაც ყველაფერს მოამზადებენ მაშინ ოჯახის წევრნი კერის უკან მოწიწებით გაიწერდებიან, უბუღების მათგანი კი მივა კარებთან, გააღებს მათ და შემოპარტყებს სახლში „სულეებს“, რომლებმაც აი ესეცა ეხლა მოაწინათიანთ ოჯახების კარებთან. მერმეთ ეს უბუღების წარდგება წინ, აღაპყრობს ხელებს, და დაიწყებს ჩუმთა ლოცვას, რომელშიც ევედრება სულეებს, რომ მათი მობრძანება მშვიდობიანი იყვეს, რომ კარგი წელიწადი მოუბრუნოს და ნურაფერ ცულს შეამთხვევს ხსენებულ ოჯახს. მერმეთ მივა, დანიოქებს სუფრის თავში, აიღებს არაუთა სასეუ ქუჩას, ილოცავს კიდევ და შეუნდობს მიცვალელებს. ამ ნაირადვე მოქცევა „ჩაღვასთანაც“ ე. ი. კერის ძირში გაწყობილ გარდაცვალებულ კოქლების „სულეების“ ტაბაკთანაც. როცა ამ ცერკმონიას მორჩება, ააღაგებენ სუფრას და გაწყობენ ხელმეორედ თავიანთის სავანშობლ. სახელად ამ ღამეს ხმარობენ თავდ გარეულ არაყს, რომელსაც ერთ დიდ თასში ასხმენ. ვისაც სასმელი ჰკუნდება ის ადგება, მივა ჯამთან, დაილოცავს, დაეყუდება და პირდაპირ ჯამიდან სვამს. ხელს ამ თასს ვანშის გათავებამდის ვერ შეახლებენ. ნავახშმევს მიაღაგებენ ყველაფერს და დაანთებენ დიდ ცეცხლს. ამ დროს მოიტანებენ არყის ხისაგან ან თხილის წიკნელისაგან გაკეთებულ პატარა კონას, რომელსაც ახალ-წელიწადს ჩამოკვლევის დროს ხმარობენ და რასაც (გვიხს) უძახიან; ამას დასწვენ, მის ღაღარს (ცხელი ნაცარი) იღებენ ფრთხილად საღადრით და უჭერიან თავს ცალკე, რომ სხვა შემის ნაცარი არ შეერიოს. რამდენ წინაა ნაცარს აიღებენ, იმდენ წინადანს მოიხსენიებენ; მაგალითად, პირველ წინაბის აღების დროს მოიხსენიებენ ღვთის-

მშობელს, რომელსაც „ლა-მარიას“ ეძახიან; მეორე წინააბზედ—თავიარ-ანგელოზებს, მერმედ ანგელოზებს და მერმეთ სხვა წმინდანებს. მათ შემდეგ გარდაცვლილთა და ბოლოს ცოცხლებს, ყველას, ქალს და კაცს, დიდს და პატარას; მაგრამ პირველად ყოველთვის მამრობითი სქესს მოიხსენიებენ ხოლმე და მერმეთ მდედრობითს. ამ შემთხვევაში ერთი-ორი წლის ბიჭსაც კი აქვს უპირატესობა მოხსენიებულ მდედრისადმი. ბოლოს ამ ცხელ ღაღარს აყრიან თოფის წამალს, ლოცვენ თავისიანებს ტ სწყველიან მტრებს. ამ დამეს, ე. ი. „ადგომ“ დამეს სულ არ დაიძინებენ ტ გრამინეთს ზღაპრებს უამზობენ ხოლმე. მეორე დღეს, ნათლის-ღებასაც, რასაც სვანები (განცხადებას) ეძახიან, აგრევე იქცევიან, იმ ნაირადვე აწყობენ სუფრას და იმნაირადვე უმასპინძლებიან „სულეებს“, როგორც წინა „ადგომ“ დღეს, მხოლოდ არა სამარხვითი, არამედ სახსნილოთი. ამ დღისათვის თავადების ოჯახებში ორი ძროხაც რომ იყოს დაკლული, ერთი კარგი ვაცი მაინც უნდა დაიკლას. განსაკუთრებული თვისება ამ დღის „ცერკმონიას“ ის არის, რომ ამ დღეს გაკრიან წინა ღამეს დაშვარ გვიხის) ნაცარს და მოხელადვენ ნაკურთხი წყლით; მერმეთ ამ მოხელად ნაცარს ინახავენ წმიდა ადგილზედ და იმ დროს, როცა თავიკი ათასი სხვა და სხვა ჩვეულების შესრულების დროს დასქირდებთ სახლის კურთხევა. მოსტებენ ცოტას, ვახსნიან წყალში და ამ უკანასკნელით მოასხურებენ მთელ სახლს. ეს მოხელილი ნაცარი უნდა იყოფონ მეორე ნათლის-ღებადვე.

ვიგულისხმობთ, რომ „ლიდელიკი“ დიწყკო ოთხშაბათს, მაშინ ამ დღიდან მოკლებული შაბათამდე ყოველ დილა-საღამოობით დიდი მოწიწებით და ლოცვა ვედრებით უმასპინძლებიან წინაპართა სულეებს. შაბათ დღიდან კი ჩვეულებრივად სუფრას არ უწყობენ მათ (სულეებს) კვირა საღამომდე და აი რატომ; ამ შაბათს „სულეები“, სვანების წარმოადგენი, მიდიან სახლმდებან და აქვთ კრება სადმე ერთ ადგილზედ. კრებზედ მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორი ბედის ღირსია მათი მასპინძელი ოჯახი, თუ რა მოვლის მას (ოჯ.) ამ წლის განმავლობაში. ამ რჩევას „სულეები“ უნდებიან კვირა დღიამდე. ამ შაბათ დღეს ეძახიან „ლაღობორალს“ ე. ი. კრების, ყრილობის დღეს.

კვირა დილას სულეები მიდიან სტუმრად იესო



ქრისტესთან, რომელთანაც დაპატიებულნი არიან და რჩებიან მასთან საღამომდე; საღამოს კი ბრუნდებიან ისევ თავიანთ ოჯახებში, სადაც მათ დიდი ამბებით შეეგებებიან ხოლმე და სთხოვენ კარგი განაწინი გამოგვიცხადეთო. უკანასკნელად გააწყობენ სუფრას ორშაბათს, დილით ადრე; ამ დღეს სულებს ისტუმრებენ და ამიტომ დღისწილაში სხვათა შორის სთხოვენ, რომ იქნება თქვენი საკადრისი პატივი ვერ გეცით, მაგრამ მაინც ნუ გავვირისდებით და თქვენ სიყვთეს ნუ მოგვაკლებთო. ამ ორშაბათ დილას ეძახიან «ჯეედი ჰამს», ე. ი. გრძელ დილას, რადგანაც ამ დილას ჩვეულებრივად უფრო დიდ ხანს უნდა იქნეს მათთვის (სულ.) გაწყობილი სტოლი. თუმცა ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ უსათუოდ იფიქრებთ «სულეები» თავიანთ ოჯახებს მეორე წლამდე არ შეაწყუბებენო, მაგრამ ასე როდი ყოფილა. თურმე სულებს გული წყდებთ ოჯახის მოშორებაზედ და ამიტომ ორშაბათ დილას წასულნი ხუთშაბათს ისევ უკან ბრუნდებიან და ხელ-ახლად ეწვევიან თავისიანებს, ამ ხუთშაბათ დღეს სენები ეძახიან «ნალ-ტერუხაშს» ე. ი. დაბრუნების დღეს. «ნალტერუხაშს» მობრუნდებიან ყველა, ვარდა კოქლ-გარდაცვალდებულ სულეებისა, რომლებიც შაბათამდე ვერ მოაწვევენ ხოლმე ოჯახებში, რის გამო ამ შაბათ დღეს ეძახიან «ჩაღას» — კოქლების დღეს. ამ ორივე დღესაც «ნალტერუხაშს» და «ჩაღასაც» ისევე ცერემონიით შეხვდებიან სულებს ოჯახებში და ისე გაუმასპინდლებიან, როგორც «ადგამ» დღეს. ამის შემდეგ კი ისინი წავლენ თავიანთ სამფლობებელოში და მეორე «ლიფანელამდე» არ ეწვევიან ოჯახებს. ამ დროს განმელოებაში ყოველივე მუშაობა აღქმალულია.

როგორც მკითხველი შეატყობს ეს ჩვეულება არის დარჩენილი უძველესი, ქრისტეს წინა დროიდან და თუ ქრისტიანობამ სრულიად ვერ აღმოფხვრა, თავისი ელფერით მაინც შემოსა ის.

(შემდეგი აქნება)

სევერ. კეკელიძე.

**ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრება მოსკოვში.**

12 სექტემბერს დაიწყო მოსკოვში კრება ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლებისა. ეს კრება, როგორცა სიანს, დიხანს გასტანს. დღეში ორჯერ იკრიბებიან, — დილით და საღამოთი. უკვე ოთხი კრება მოხდა და ჯერ მხოლოდ პოლიტიკური პროგრამა შეიმუშავეს. დღეს, 14 სექტემბერს, შეიმუშავებენ ნაციონალურ საკითხს და შემდეგ აგრარულ საკითხის გარჩევას შეუდგებიან. კრებებზე ხდება საზოგადოების დაუსწრებელი, მხოლოდ კორესპონდენტები შეუშვებს კრებაზე. კრებას, სხვათაშორის, ესწრებიან: სტუდენტი, რომელიც ტაიმაში თანამშრომლობს, მღვდელი პეტროვი, მილიტარი, რომელიც სულ ცოტა ხანია, რაც საპრობილედან გამოვიდა. ეს თათბირი გამოხატულია მთელის რუსეთის აზრისა, ამიტომ რომ ყველა კუთხიდან არიან წარმომადგენლები.

12 სექტემბერს კრება დაიწყო 1 საათზე. მანაწილობის დღეს 115 ერობისა და 62 ქალაქების წარმომადგენელი. მოსკოვის „უპრავის“ თავმჯდომარემ, ბანი გოლოვინმა გახსნა კრება და მოახსენა, რა გარემოებაში იწყება თათბირი. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა ჯერ ნება არ დართო კრების მოხდენაზე და დემუქრა, რომ თუ, მიუხედავად აკრძალვისა, კრება დაიწყება, იგი ძალას იხმარს და დაძახურავს. წარმომადგენლებმა ამ მუქარას ყურადღება არ მიაქციეს და გადსწყვიტეს ყრილობის მოხდენა. ბოლოს გენერალ-გუბერნატორმა ნება-დართო, მხოლოდ ამდენიგის პირობით: 1) კრებაზე უნდა დაესწროს ადმინისტრაციის წარმომადგენელი მხოლოდ. 2) კრებაზე არ შეიძლება ვაგრცელება მთავრობის საწინააღმდეგო ქაღალდებისა. 3) არ შეიძლება აგრეთვე წაქეზება ერთი კლასისა მეორეზე. 4) თუ ეს პირობები დარღვეულ იქნებიან, მაშინ თავმჯდომარე მოვალეა კრება დახუროს, თუ თავმჯდომარე თავის მოვალეობას არ შეასრულებს, მაშინ დაშსწრე ადმინისტრაციის მოხელეს ეძლევა უფლება შესწყვიტოს ყრილობა. ადმინისტრაციის მოხელედ, რომელიც კრებას ესწრება, დინიშნა გუბერნატორის კანცელარიის უფროსი ცერემონიებისტერი ვორონინი.



გოლოვინის მოხსენების შემდეგ, თავმჯდომარედ აირჩიეს გრაფი გვიდენი.

ბ-ნმა იაკუშკინმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება იმ-ს შესახებ, რომ საქორთა თუ არა მონაწილეობის მიღება სახელმწიფო სათათბიროში. თვითონ იმ აზრისა იყო, რომ მიუხედავად დიდნაკლულუენებისა, სახელმწიფო სათათბირო შეიძლება გამოიყენებოდნენ ნამდვილ პოლიტიკურ თავისუფლებას მოსაპოებლად. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. დე-რობერტიმ (ტუერის წარმომად), სხვათა შორის, სთქვა, რომ სახელმწიფო სათათბირო ის ციხეა, რომელსაც ებრძვის შინაური და გარეული მტერი. გარეული მტრები ისინი არიან, რომელნიც ვერ შესულან ამ სიმაგრეში, იმიტომ რომ მას გარეშე არტყია ხეუ-ღარბტები, ესე იყო ცენზი და სხვა დაბრკოლებანი; შინაური მტრები კი ის მოწინავე რუსეთის საზოგადოება იქნება, რომელიც მოახერხებს ამ სიმაგრეში შესვლას. თუ გვინდა, ხეყები და ღრანტები გასწორდნენ, საქორთა ერთ დროს ვაბრძოლო შეგინდამ და გარედან და მაშინ სახელმწიფო სათათბირო იმ სახეს მიიღებს, რომელიც სასურველია და რომელიც დაკმაყოფილებს მოწინავე საზოგადოებას. თუ ჩვენ სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობაში უარს ვიტყვი და ჩვენ თვითონვე ბრძოლის ველიდან უკან დავიწეოთ, მაშინ რუსის ერს სრული უფლება ექნება სთქვას, რომ ჩვენ შეგვეშინდა.

ერთმა ორატორმა ძალიან მხურვალედ ილაპარაკა დე-რობერტის წინააღმდეგ. მისი აზრით, სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღება არის კომპრომისი, ერობის წარმომადგენლებს თავის დღეში კომპრომისისთვის არ მიუმატათ.

ამ კითხვას კენჭი უყარეს და გამოირკვა, რომ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი იყო წინააღმდეგი სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღებისა, დანარჩენებმა ერთხმად გადასწყვიტეს მონაწილეობის მიღება.

14 სექტემბეს თავმჯდომარეობდა თავადი დოლოგოუკოვი. კრების გახსნისთანავე წაიკითხეს დებეშა ტფილისის ქალაქის მოურავისა, რომელთაც იგი კრებას ატყობინებდა, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობა ვერ ზღავენის თავის წარმომადგენელს, რადგანაც 29 აგვისტოს მომხდარ ამბავს შედეგად მოჰყვა ხმოსნების სამსახურიდან გასვლა. ყოფილი

ხმოსნები ნდობით უტყებრიან კრების წევრებს და წინდაწინვე თანხმანი არიან ყველა მათს გადაწყვეტილებას ხელი მოაწერონ. შემდეგ ტფილისის ქალაქის თავი სთხოვს, წარმომადგენლებმა მოითხოვონ, რომ ტფილისის ჰყავდეს, ერთის მაგიერ, ორი წარმომადგენელი სახელმწიფო სათათბიროში.

ერთობა წარმომადგენლობის ბიურომ გადასწყვიტა დაეთანხმოს ტფილისის ქალაქის თხოვნას და მოითხოვოს, რომ ტფილისიდან სახელმწიფო სათათბიროში მოწვეული იყოს ორი წარმომადგენელი. შემდეგ კრებამ ერთ ხმად დაჰკმა აღმინისტრაციის საქციელი 29 აგვისტოს.

პოლონელების წარმომადგენელმა სთქვა, რომ მარტო ტფილისი რა წითელი კოქია, რომ მათ 2 წარმომადგენელი ჰყავდეს, მაშინ როცა ვარშავას 1 ეყოლება. მე წინააღმდეგი, რასაკვირველია არ ვარ, რომ კრებამ იშუამდგომლოს ტფილისისათვის მხოლოდ ვთხოვ კრებას ვარშავიდანაც ორი წარმომადგენელი მოიწვიოს.

თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ტფილისის ქალაქის თავმა ამის შესახებ თხოვნა შემოიტანა; გთხოვთ, თქვენც ასეთივე თხოვნა შემოიტანეთ და მაშინ ბიურო პასუხს არ დაავიანებო.

ამის შემდეგ კრება შეუღდა პოლიტიკურ პროგრამის შემუშავებას, რომელსაც შემდეგ წერილებში შეგატყობინებთ. („ივ.“)

### ბაზ. „თარჯიმანის“ აზრი ბაქოს ამბავის შესახებ.

„ჰიბათის“ მე-60 ნომერში მოყვანილია შემდეგი წერილი, „თარჯიმანიდან“ გადმობეჭდილი:

ბაქოს ამბავზე ბევრჯერა აზრი ტრიალებს საზოგადოებაში, ხოლო ნამდვილი მიზეზი ბეგრისთვის ჯერაც ბურუსშია გახვეული. უმეტეს ნაწილად ბრალს სდებენ მაჰმადიანებს და ეს გარემოება გვაძიძლებს რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ სომეხ-მაჰმადიანთა ურთიერთობის შესახებ.

კავკასიაში ვაჭრობა ყველგან სომეხების ხელშია, სხევიც ეწვივან აჭარა აღებ-მიცემობას, მაგრამ პირველობა ამაში სომეხებს არაგუნა ბეღმა. ვაჭრობით



შეძენილმა ძალიმ მრავალი მიწა-წყალიც შესძინა ამ ხალხს. სომხებმა ვაქრობაში უკან დააყენეს და დანაგრეს მავპადიანები და ქართველებიც. მამულეს გვართმევენ და ვაქირვებაში გვაგდებენ ჩვენ და ქართველებსაც. როდესაც ქართველებს და მავპადიანებს მამული ხელიდან ეცლებათ, მაშინ ეს სომხების ხელში გადადის. სომხის ნაბოენი მავპადიანის ან ქართველის დაკარგულია. მავპადიანებს და ქართველებს სომხების შესახებ ისეთივე გრძობა აქვთ გულში, რაც რუსეთში რუსებს ებრაელების მიმართ. ასეთია ეს ეკონომიური მხარე მავპადიანთ და სომხეთ ურთიერთობაში.

მაგრამ საქმე ამით არ თვდება. ეკონომიურად სომხებზე ბურჟუაზია რომ ვამდიანებს მავპადიანების მონაგარით და მიწა-წყლით, ამას მოჰყვა ის, რომ ბურჟუაზიამ და მისმა ინტელიგენციამ მოიწადინა გამეფება მთელს კავკასიაში და ცდილობდა ყველგან მართვა-გამგეობაში უპირატესობა და მეტი გავლენა მოეცემა. ყოველ სურვილს და მისწრაფებას თავისი სახლავარი უნდა ჰქონდეს, სომხებს კი ეს არ გააჩნიათ. კავკასიაში სომხების გარდა სხვა ერებიც სცხოვრებენ და ყველას უნდა ჰქონდეს, სმა და პერი. სომხები ასე არ ფიქრობენ... ესაა მიზეზი, რომ მეზობლური ურთიერთობა მავპადიანთა და სომხეთ-შორის ამ ბოლო დროს ასე გამწვავდა.

სომხეთის ნატრა „დედ სომხეთის“ დარსებაა. პირველად ოსმალეთში შეუდგენ ამ საქმეს, ახლა კი კავკასიაშიც გადმოიტანეს ამის პროპაგანდა.

ამას წინედ „რუსკ. ვედ.“-ში, სომხ კორესპონდენტების ჩაგონებით, იუწყებოდნენ, რომ სომხები ყოველად უდანაშაულო ხალხია ამ არეულობაში, რე ყველაფერში მავპადიანებს სდებდნენ ბრალსა. „რუსკ. ვედ.“ ყველას არწმუნებდა, ვითომც ოსმალეთიდან მოსულიყვნენ იქაური მოლღები და ოსმალის სტუდენტები და ესენი აქებებდნენ აქაურ მავპადიანებს სომხების ასაკებად. ამ მოსკოვის გაზეთს ჩვენ აი, რას ვუპასუხებთ: თუ ეს მართალია, მაშ რაღათაა, რომ ამ ოსმალ-სუნეთებმა თავისი პროპაგანდა აქაურ შიითებში დაიწყეს და არა სუნეთებში? სომხებს ხომ შიითები ედავებიან და არა სუნეთები. უკანასკნელი ამები მოხდა ბაქოს, ნახიჩევანში და შუმაში, სადაც მავპადიანები შიითები არიან. რად მოხდა ამ ქალაქებში? იმიტომ რომ

ყველაზე უფრო აქ არიან დატანჯული მავპადიანები სომხებისაგან.

ზოგი ამას ამბობს, რომ მავპადიანები პანისლამით არიან ვატაცებული, და ამით სხიან ახლანდელ ამბებს. თუ ეს მართალია, მაშ რაღათაა, რომ მავპადიანები მხოლოდ სომხებს ედავებიან და სხვა არც ერთ ქრისტიან ერს. კავკასიაში, მავპადიანების მეზობლად, სომხების გარდა, მალაქებიცაა, რუსებიც, ბერძენებიც და ყველაზე უფრო ქართველებია. რატომაა, რომ მავპადიანები ამით არ ედავებიან და ყოველთვის კარგ ურთიერთობაში არიან ამითან? მავპადიანთა და ამთ-შორის არა-რა მომხდარა, არც ერთი კაცი არ მოკლულა. აქედან ნათლად სჩანს, რომ მიზეზი არც პანისლამიზია და არც ფანატოზი. მავპადიანები მხეცები არ არიან, პატოისნებაში არავის არ ჩამორჩებიან. მავპადიანებს არც ფანატოზს დასწამებ და არც გადაქარბებულ პანისლამისტობას. მავპადიანებს სურთ მხოლოდ ერთი რამ: თავიდან აიცილიონ ის მომავალი, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს მეზობელ ქართველებს სომხებისაგან. ქართველების საუკეთესო აღფრთხილებული, საქართველოს აღმ-მიცემობა სომხებს ჩაუჯარდათ ხელში, მავპადიანებს კი ამისი შეინჩნა უნდათ.

მოკა დრო, როდესაც ყველაფერი გამოაშკარავდება. მაშინ გამოჩნდება ნამდვილი მიზეზი წინდელ ამბებისა; მაშინ დამყარდება სიმართლე და ძმური ურთიერთობა სომხეთ, მავპადიანთ და ჩვენს პატოისან მეზობელთა ქართველთა შორის.

## წერილები

### ძ. თელავი.

20 ევნისთვის თელავის საქალაქო სკოლის მოსწავლეები გაკეთილების დაწყების წინ გარედ გავიდნენ, მოითხოვეს ინჰექტორი და გადასცეს თავიანთ მოთხოვნანი. სახელდობრ: ჩვენ, მოსწავლენი საქალაქო სასწავლებლისა, გავიფიქრეთ განუსაზღვრელ დრომდე, ესე იგი, ვიდრე არ ღვისრულდებნენ ჩვენ მოთხოვნილებებს: 1) საყოველთაო ფუასო სწავლება; 2) სწავლის პროგრამის გაფართოვება, რათა გამოუყდელთ შეგვეძლოს გადახვა საშუალო სასწავლებელში; 3) ნაციონალურ (?) და რელიგიურ





ჩეულებათა (ძირქუხ) მოსპობა სკოლაში; 4) ვადა-  
სვლელ ეგზამენის მოსპობა; 5) თავისუფლება  
სიტყვისა და თავისუფლად სიარული თეატრებსა და  
საზოგადო კრებებში; 6) თავაზიანი მოპყრობა მას-  
წავლებლების; 7) ბიბლიოთეკის გაფართოება და  
ეურნალო-გაზეთების გამოწერა რუსულ ქართულ და  
სომხურ ენაზე; 8) სკოლასთან დაარსდეს სამეურნეო  
და სახელოსნო განყოფილებანი; 9) სამხანაგო სა-  
სამართლოს დაარსება; 10) მოსწავლეების განთა-  
ვისუფლება სკოლის გარეთ მასწავლებელთა ზედ-  
აყვდევლობისაგან, 11) ქართულ და სომხურ ენის  
სწავლება, როგორც სხვა საგნებისა ამასთან სავალ-  
დებულთა იყოს ეს საგნები; 12) სამღვთო სჯულის  
სწავლება სურვილისამებრ და მასწავლებლად იყოს  
სასულიერო პირი-კი არა, ერის კაცი; 13) გელოზის  
მოსპობა; გიმნასტიკის მასწავლებლად უნდა იყოს  
სამხედრო პირი და 14) გაფიცვის გამო არავინ უნდა  
დაისაჯოს.

ინსპექტორმა ჩამოართო ქალღი და ურჩია  
სწავლის განგრძობა, გაზაფხულზე ყველგან გაფი-  
ცნენ, ყველგან წარადგინეს მოთხოვნილებანი, მაგ-  
რამ აბა საღ შეუსრულესო. ამასზედ მოსწავლეთ  
ძიუგეს, ვიდრე ამ მოთხოვნილებას, თუ სულ არა,  
ზოგიერთ მუსლებს მაინც არ შეასრულებთ, სწავლას  
ვერ დაეწყებთო, გამობრუნდნენ უკან და სიმღერით  
გაემართნენ ბაზრისკენ, გაფიცდნენ ქალაქ გარედ და  
იქ კიდევ მოიღობარაკეს. არც მეორე დღეს მიუსუ-  
ლან.

**ქალაქი ურშია.** (სპარსეთი).

ამეროკელების „კალე“ ურშიის თავიგულია.  
მდებარეობს სირიის მთის მახლობლად, დასავლეთით,  
ურშიიდან ორჯვერსის მხმალზე. ეს ვებერთელა  
ეზო, ზომითა 50 დესეტინა, რომელსაც გვერდით  
ჩამოუდის მდინარე, შესანიშნავ ზღვად ითვლება  
მთელ ურშიაში. ამ ეზოშია სემინარია, ათერთვე  
საავადმყოფოება 100 საწოლით. აქ ნახავთ ავღ-  
მყოფს შიიტს, სუნეიტს, ებრაელს, ქრისტიანს. ყვე-  
ლას პატივით და თანასწორათ ეპყრობიან. უმრავ-  
ლესობას კი მუქთად სწამლობენ. 60 წელიწადია,  
რაც ამერიკელების მისია დაფუძნებულია ქ. ურშიაში  
და დიდი თანაგრძობაც დაუშასურებია საზოგადო-

ებაში. აგვისტოს 4 ვარდაცვალა სახელ განთქმუ-  
ლი ექიმი კოვრანი (ამერიკელი), დაბადებული აქვე,  
ურშიაში, ამ ღირს შესანიშნავ ექიმის კუბოს თავს  
დასტიროდა 10 ათასზე მეტა სტენ-და-სევა სარწმუ-  
ნოების ხალხი. ეს ვებერთელა ეზო ვაქედლი იყო  
საზოგადოებით. აქ ნახავდით: რუსებს, ქართველებს,  
სომხებს, ინგლისელებს, გერმანელებს, ფრანგებს,  
სპარსელებს, ქურთებს, სირიელებს და სხვა მრავალ  
სარწმუნოების ხალხს. მრავალი სრტეცა წარმოიქვეა.  
შესანიშნავი იყო ეს უღრმად გარდაცვალებული  
და უზომოდ მუშაკ ადამიანი. იგი ყველის, განურ-  
ჩეველად წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა,  
თანასწორად პატივსა სცემდა და უმრავლესობას  
უსასყიდლოდ აქიძობდა. წარსულ წელს, ხოლერის  
ღროს დიდი სიმამაცე და მხნეობა გამოიჩინა. ეს  
შესანიშნავი კაცი უფროსად ითვლებოდა ამერიკის  
მისიაში. საზოგადოება მას ყოველთვის თავმჯდომე-  
რედ ირჩევდა და მართლ მსჯეული იყო. არ მოიძებ-  
ნება რუსეთის ურშიის ოკრუგში ისეთი ქალი და  
კაცი, რომ არ აღმერთებდეს მას ბევრი ახალგაზდა  
სირიელი ვაუჯზუნია თავის ხარჯით ამერიკის უნი-  
ვერსიტეტში.

ერთი მძიმე ავადმყოფი თოწუა — ქართოვლი —  
ბელის წერას ურშიაში ჩამოეყვანა, რომელსაც პატ-  
რონობა ვაუწია ცხონებულთა ექიმა, — მოარჩინა  
და შინ წასასვლელი ფულიც კი ააქუბა. (ც. უ.)

**შურნალ-გაზეთობიდან.**

მეჭკვადრობას გადასახდა საფრანგეთში.  
საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა  
ანგარიში მემკვიდრეობაზე გაწერილ შემოსავლისა.  
ეს ანგარიში მშვენიერი საზომია საფრანგეთის სა-  
ზოგადო სიმდიდრისა და მესამე რესპუბლიკის ქო-  
ნებრივ განვითარებისა. 1904 წელს საფრანგეთში  
378,878 კაცს დაუტოვებია ისეთი მემკვიდრეობა,  
რომელზედაც მთავრობას გადასახადი უნდა გაეწერა.  
თითო ამ მემკვიდრეობის ფასი 250,000 ფრანკს არ  
აღემატებოდა. მისი საერთო ჯამი ზღვრიდა 2700  
მილიონ ფრანკს. სინტერესოა აგრეთვე დიდი მემ-  
კვიდრეობის ანგარიშიც. 1904 წელს გარდაცვლილა  
311 კაცი, რომელთაც ცალკე 1-დან 2 მილიონ  
ფრანკამდე დაუტოვებიათ. 123 კაცს დაუტოვებია

2-დან 5 მილიონამდის; 35 კაცს—5-დან 10 მილიონამდის და სამასაკ—50 მილიონზედ მეტი. ამ სამ კაცს საერთოდ დარჩენია 240,457,000 ფრანკი. ერთი მათგანი იყო გაზეთ „პტი ჟურნალ“-ის გამომცემელი მარინონი, მეორე—ბარონი როტშელდი და მესამეც—ესპანის ექსკაროლგევა იზაბელა. საერთო ფასი იმ მემკვიდრეობისა, რომელსაც გადასახადი გააწერეს, უდრიდა 5200 მილიონ ფრანკს.

\* \*


„კავკასიის“ № 241-ში დაბეჭდილია:

„კავკასიის ნამესტნიკმა, ვაიენო-რა ამ ქვეყანაში სახალხო სწავლა განათლების საქმის მდგომარეობა, საკუროდ სენო აღგილობრივ მკვიდრთა პირველ დაწყებით სასწავლებელში შეტანილ იქნას ზოგიერთი ცვლილება, რომელიც ხალხის სურვილსაც და ამკაყოფილებს ჭ საქმისათვისაც სასარგებლო იქნება.

ახალს საფუძველზე სწავლის საქმის დამყარებისათვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, თანახმად ნამესტნიკის განკარგულებისა, დააარსა განსაკუთრებული საბჭო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ქართველ, სომეხ ჭ თათარ მასწავლებლებმა. საბჭოს მიერ შემუშავებული სამოსწავლო გეგმა წარედგინა განსახილველად ნამესტნიკის საბჭოს.

როცა საბჭოს აზრი ამის შესახებ ნამესტნიკს გენ. ადიუტანტს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს მოახსენს, მისმა ბრწყინვალემა ბრძანა შემდეგი: „საბჭოს დადგენილება სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული კავკასიის მკვიდრთათვის პირველ დაწყებით სწავლების გეგმის შემუშავების დროს; დროებით კი, ამ სამოსწავლო წელს, სკოლებმა უნდა იხელმძღვანელონ 1881 წელს 12 იანვარს კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის მიერ მოწონებულისა და დღემდის არ გაუქმებულის გეგმით, რომლის ძალით სკოლებში სწავლება დღეა-ენახე უნდა სწარმოებდეს იმ პირობით, რომ სახელმწიფო ენის სწავლებასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს“.

ეს რეზოლიუცია ნამესტნიკისა ეცნობა აღსასრულედ აღად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს“.



### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გამოაცხადა, რადგან ათიდან ოც სექტემბრამდის აღუარებელი ჯარი და ტრანსპორტი უნდა ვადვიყვანოთ ბათუმიდან ქუთაისამდის, ამისათვის სხვა საქონლის დროზე ჩატანის პასუხის გებას ვერ ვიკისრებთო.

\* \* ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ძლიერ ვაგუნელდა თავისუფალ ვაგონის მიღება და დატვირთვა. თითქმის ყველა ვაგონი ქუთაისს და ბათუმს შუა მუშაობს. როგორც ამბობენ ახალი ჯარი ბალაჯირაზე მოვა თურმე.

\* \* ას. ოტ.-ს და სხვა ვაგუნებში დაბეჭდილია: „კავკასიაში იგზავნება ყველა პოლკები მე-21 კორპუსისა, აგრეთვე მე-303 საარტილერიო ბრიგადა და ურალის ყაზახთა ერთი პოლკი. მთავარ შტაბში ლაპარაკია აღძრული ჯარის სხვა რიგად განაწილების შესახებ. როგორც უკვე იყო მოხსენებული, რამდენიმე კორპუსი რუსეთის შუა გულიდან კავკასიაში გაიგზავნება, რამდენიმე ფინლიანდიაში.“

\* \* ამ ცოტა ხანში, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისში ჩამოვა მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგე სტატს-სეკრეტარი ბარონი ნოლდე. რაც კავკასიაში ნამესტნიკობა დაარსდა, ბარონ ნოლდეს დავალა უმაღლეს დაწესებულებაში იმ კანონ-პროექტის დაცვა, რომელიც კავკასიას შეეხება. ესლა, როგორც „ნოვ. ვრ.“ ვაღმოგვეცმა; ბარონი ნოლდე ტფილისში ჩამოვა ნამესტნიკის მიერ აღძრულ ახალ კანონ-პროექტების შესამუშავებლად.

\* \* კავკასიის ნამესტნიკის გრაფის ვორონცოვ-დაშკოვის მოწოდება, რომელიც ამა წინად გეგონდა დაბეჭდილი, დაიბეჭდა აღგილობრივ ენებზე და და აღურიგა მასრის უფროსებს ხალხში გასაერცვლებლად.

\* \* ქართლში ამ სამიოდე დღის წინად სულ ერთიან გახიზნულან სოფელ ნოსტეს მცხოვრებნი. სოფელი ისე დაცალიერებულა, რომ აღარც ერთი სული აღარ მოიპოვება თურმე. მიზეზი შეტაკება ყოფილა, რომელიც მოსვლიათ მცხოვრებთა და სტრაენიკებს ჭ რომლის დროსაც მოკვლავთ ერთი სტრაენიკი. აკლებს შიშით ხალხი ახლო-მახლო





სოფლებსა და ტყეებში გახიზნულა. როცა სტრატე-  
ნიკები და ყაზახები მისულან, სოფელში აღარავინ  
დამხვედრიათ. რაში დაეძებს თურმე მცხოვრებთ.  
(ტ. ფ.)

\* \* \* ქართული ენის ცნწზორი პეტრე მირიანა-  
შვილი. საკუთარის სურვილით, დათხოვნილ იქმნა  
თანამდებობიდან.

\* \* \* სამრევლო სკოლების სამაზრო მეთვალყუ-  
რეთა კრების მიერ შემუშავებული ახალი სასწავლო  
პროგრამა და სკოლების გეგმა დაეგზავნება საოლ-  
ქო საბჭოს წევრებს თავიანთ აზრის გამოსათქმელად.  
შემდეგ მოხდება საბჭოს სხდომა ამ საგნის განსა-  
ხილველად. მეთვალყურეთა კრებამ ითხოვა, გეგმა  
სამღვდელთა დეპუტატთა კრებამ დაამტკიცოს.

\* \* \* საქართველოს სამრევლო სკოლების სო-  
ლქო საბჭოს მდივანი ი. გრეკოვი დაინიშნა ქუთა-  
ისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

\* \* \* საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო  
სკოლების სოლქო საბჭოს მდივანის თანამდებობის  
აღმასრულებლად დროებით დაინიშნა ექსარხოსის  
კანკლარის მმართველის თანაშემწე დ. დავიძოვი.

\* \* \* ქუთაისი. 16 სექტემბერს, ხაზინაში მიმავალს  
აზოვის ბანკის მფარველს, რომელსაც ეტლით 23  
ათასი მანეთი მიჰქონდა, დაეცნენ მძარცველები,  
ჩამოაგდეს მფარველს, დარაჯები და იმავე ეტლით  
გაიქცნენ. მღვართ მალე იპოვნეს მოტაცებული  
ფულიანი ყუთი. იგი ხელუხლებელი იყო. დამნაშა-  
ვენი ვერ აღმოაჩინეს.

იქიდანვე, 16 სექტემბერს, საგუბერნიო საბჭოს  
სხდომის დასაწყისს ვიღაცამ რევოლუციური გაისროლა,  
ერთი დამსწრეთაგანი მსუბუქად დაიჭრა; სხდომა  
გადაიღო მეორე დღემდე.

\* \* \* \* \* რუსი-ის სიტყვით, უმადლეს წრეებში  
დაბეჯითებით ამბობენ, ლამზღორფი და მისი ამა-  
ნაგი ობოლენსკი გადიან სამსახურიდანა.

\* \* \* გენ. პალიცინმა შეადგინა პროექტი საშუ-  
ალო სამხედრო სასწავლებლების რეორგანიზაციისა  
(რ.).

\* \* \* გენ. პავლოვმა შეადგინა პროექტი სწრაფ-  
სამხედრო სასამართლოების შემოღებისა იმ ადგილებ-  
ში, სადაც ომის დროის წესებია შემოღებული. ეს  
პროექტი სამხედრო სამინისტრომაც მოიწონა და  
კავკასიის უმაღლესმა მთავრობამაც. (რ.)

\* \* \* ოდესაში სულ 520,000 მცხოვრებია. აქე-  
დან მხოლოდ 7000 კაცს ეძლევა საარჩევნო ცენზი  
სათათბიროში. ამ 7000 კაციდან მხოლოდ 115-მა  
განაცხადა თანხმობა არჩევნებში მონაწილეობის  
მიღებისა. ასევე იქცვიან ამომრჩევლნი კიევში,  
ხარკოვში, ეკატერინოსლავში და სხვა ქალაქებშიაც  
(ს. ო.).

\* \* \* სოლსკის პროექტით კრებზე აღრძალულია  
ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სა-  
კითხებზე ლაპარაკი. ამ კანონის დაცვა ვეალება  
კრების თავმჯდომარეს; თუ თავმჯდომარემ ამ სა-  
განზე ლაპარაკის ნება მისცა ვისმე, ან 300 მანათით  
იქნება დაჯარიმებული, ან სამის თვით იქნება და-  
პატიმრებული (რ. ვ.).

\* \* \* რადგანაც სემინარიის მთავრობამ მოწაფე-  
თა მოთხოვნილებანი საესებით არ დაკმაყოფილა,  
მოწაფეებმა სწავლის დაწყებაზე უარი განაცხადეს.  
ქართველებს ბერძნები და რუსები მიემბრნენ. ორ-  
შაბათს სემინარიაში ექსარხოსის განცხადება გაა-  
რეს; სემინარია დროებით დაიხურა და მოსწავლე-  
ებმაც 19 სექტემბერის საღამოს 7 საათიდან, სემი-  
ნარიის შენობა უნდა დაცალკოს.

\* \* \* 19 სექტემბერს, საქართველოს ექსარხოსი კავ-  
კასიის ნამესტნიკთან იყო სათათბიროდ სასულიერო  
სემინარიაში შეწყვეტილ სწავლის შესახებ.

\* \* \* კვირას, 18 სექტემბერს, სასულიერო სე-  
მინარიის საბჭოს სავანებო კრება ჰქონდა, სემინა-  
რიაში სწავლის აღსადგენად ზომების მისაღებად.  
სემინარიის საბჭოს უმრავლესობამ ის აზრი გამო-  
თქვა, რომ უნდა დათხოვნილ იქმნენ ყველა ისინი,  
ვისაც მოთხოვნილებზე ხელი უწყობია, და დაიწყო  
სწავლა მხოლოდ იმ მოსწავლეებთან, ვისაც სურთ  
სწავლა. უმცირესობა კი რომელთა რიცხვში იყვნენ  
მღვდლები კ. ცინცაძე, ი. ჩიჯავაძე, მასწავლებლები  
ი. ფერაძე, ნ. მახათაძე და ვოსკრესენსკი, იმ აზრს  
დაადგა, რომ მოწაფენი 1 თვით იქმნენ დათხოვნილ-  
ნი. ამ 1 თვის განმავლობაში სემინარიის საბჭომ  
გადათვლილნი ძველი წესდება, შეადგინოს ახა-  
ლი, მოწაფეები მოიწვიოს და შემდეგ გაუთებში  
გამოაცხადოს. ეს ახალი წესდება და ორთავე აზრი  
გუშინვე წარუდგინეს ექსარხოს განსახილველად.

\* \* \* ნატანებსა და ოზურგეთს შუა რაჰდნიმე  
შეიარაღებულ კაცს გაუშარცხვეთ დილიციანით მი-  
მავალი მგზავრები. მეორე დღეს სოფ. კვირიკეთში



ახლო-მახლო სოფლების ხალხს თავი მოუყრია და ვაგაკები აღმოუჩენია.

\* \* ბაქოში დაბრუნდა სტეფანე ბირიუკოვი, რომელსაც ჯიბეში გამზადებული ყუმბარა უპოვეს (კასპ).

\* \* ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. პეტრონაშვილი ფიზიკა-მათემატიკის ფაქულტეტის დეკანად აურჩევიათ.

\* \* ეკატერინოღარადან „ივერიას“ ატყობინებენ, რომ ამ დღეებში საგუბერნიო ხაზინაში შეპარულან ვილაკები და 300,000 მანეთამდე წაუღიათ. დამნაშავეთა გზა-კვალი არ იცნა.

\* \* წარსულ გაზაფხულს მინისტრთა კომიტეტი შეეკითხა სამეცნიერო აკადემიას, კივის უნივერსიტეტსა და კივის გენერალ-გუბერნატორს, როგორ გგონიათ, გვაუქმით მოლოროსიულ პრესის შესახებ არსებული დებულება და ისეთივე უფლება მივცეთ, როგორც რუსულ პრესას აქვს, თუ არაო. სამივემ ის ბჭი გამოთქვეს, რომ მალოროსიულ პრესასაცა და ენასაც ისეთივე უფლებანი უნდა მიენიჭოთ, როგორც რუსულ პრესასა და ენას აქვსო. მაგრამ მინისტრთა კომიტეტმა ეს წინადადება უარპყო და საქმე ისევე დასტოვა, როგორც იყო. ამ ემადაც რუსეთის უმაღლესი მთავრობა წინაღმდეგობა მალოროსთა ეროვნულ უფლების აღდგენისა (ს. ო.).

\* \* საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით რამდენიმე კომისია დანიშნა სხვა და სხვა საკითხების განსახილველად, მაგალითად, სასინოდო კანტორისა და სკოლების რეორგანიზაციისა. როგორც ხმა დადის, ამ კომისიის წევრებს, მღვდლებს, უარი უთქვამთ წევრობაზე და განუცხადებიათ, ამ თანამდებობას ვიცისრებთ მაშინ, როდესაც სამღვდლოების კრება დაგვაჯავლებსო.

\* \* ქ. დენისკო ნაშუადღევს 2 საათზე ორ ამხანაგთი მიდიდა თურმე ბოქაულის თანაშემწე ოქსიანკო. ქუჩის კუთხეში შეუნიშნავათ 2 ყმაწვილი კაცი, რომელნიც პირდაპირ მათკენ მიდიოდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ. როცა ოქსიანკო გამოთხოვებია ამხანაგებს და მარტო წასულა, შეცრად აუარებელ ხალხის დასწრებით უსროლიათ რევოლვერები და სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ბოქაული 15 წამის შემდეგ მომკვდარა და ამ ხნის განმავლობაში სულ იმას ეუბნებოდა ნათესავებს: **«ოჰ,**

შე ოხერო ჩემო თავო, რატომ არ გამოვედ ხურიდანაო» (ნ. დნია).

\* \* ახლად გამოსულ სახელმწიფო საბჭოს ანგარიშში შემდეგი საინტერესო ცნობა მოთავსებული. როდესაც პორტ არტერი უკვე ალყა შემოარტყმულ იყო გამოცხადებულია და დღე დღეზე იპონენტებს უნდა აეღოთ, საგრო განათლების სამინისტროს წინადადება შეუტანია სახელმწიფო საბჭოში და ფული უთხოვინია დედათა გამანაზაის შესაბამის სავაჭარ ბორტარტურმა. სახელმწიფო საბჭოს უდროოდ უცნობა ამ შენობის აგება და სამინისტროს შეამდგომებოდა უარ-უყვია.

\* \* რედაქციონერ გაჭეთის „დენ“-ის რედაქტორი ბერგი სადაც მიპაღულა და რამდენი ხანია ამოდ თურმე ეძებენ. საქმე თურმე ის არის, რომ ბერგი ვალებში ჩაფარდნლა და ვეღარ გადაუხდია. მას აუღია „სალიტერატურო საჭიროებისათვის“ 2,300 მან. ვილნოს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან და 8 თასი მან. ვილაქ ჩალიკოვის ქალისაგან. რედაქტორისთვის მთავრობას 30,000 მანეთი სუბსილია დაუნიშნავთ და მოვალეებს ფულის განაღდების იმედი მისცემიათ; მაგრამ თვით რედაქტორი ვეღარასდ უპოვინიათ. მოვალეები მანც იმედს არ პკარგავენ თურმე დ დემებენ რედაქტორს (ს. ო.).

\* \* ტფილისში ბათომიდან დეპუტაცია ჩამოვიდა ი. ზ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით. დეპუტაცია ამ უნდა სთხოვოს ნამესტრისა, რომ ქალაქი ბათომი გაანთავისუფლონ ჯარების შენახვისაგან.

\* \* 17 სექტემბერს, ქუთაისში სამხედრო ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე რამდენიმე მუშის, რომელთაც ქუთაურაში ბოქაულის მწერლისა და ორისტრაქციის მოკვლა ჭ ბოლიციის შენობის გადაწვა ბრალდებოდა. სასამართლომ ხუთი მუშა დამნაშავედ სწრა და შლავა ჯაფარიძესა, მიხილ ვაშაქესა და სევასტი სალაძეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ხოლო დანარჩენს ორს კატორგაში გაგზავნა, ოსებე ვაშაქეს—უვადოთ და სა დიონ კაპანაქეს—15 წლით.

\* \* უწმ. სინოდმა აცნობა სინოდალურ კონტორას: ჩაგონეთ ყენევის უნივერსიტეტის სტუდენტს მღვდელ სერაფიმონ დადუნიავილის მღვდლობიდან გადადგომაზე ნუ აჩქარდებოა, და თუ ვერ დიყოლიოთ, ჯერ კანტორამ დაადგინოს მის გადაყენების საქმე და მერე სინოდს ისე მომართეოთ.





\* ბ-ნ კიკინაძის კომისიის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დასამტკიცებლად წარუდგინა კავკასიის ნაისტრუქციის საბჭოს, რომელმაც დაამტკიცა იგი უცვლელად და ნება დაართო ამ პროგრამით შეუდგნენ სახალხო სკოლებში სწავლას საცდელად. ამ საგნის შესახებ მიწერილობანი უკვე დავებუნა სახალხო სკოლების გამგეთა და მზრუნველებს. რაც შეეხება ტფილისის თვითმართვებლობას, 19 პირველ დაწყებითი სკოლა აქვს და ყველგან წელს სწავლა ძველის პროგრამით დაიწყეს. (ც. ფ.)

\* საქართველოს ექსპარხოსის განკარგულებით, სემინარიის ყველა მოწაფეები დათხოვნილ იქნენ სემინარიიდან ახალ განკარგულებამდე. 20 აგვისტოს, ყველა მოწაფეებმა მიიღეს გზის ფული რ სოფლებში წავიდნენ.

\* სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა, 20 სექტემბერს, ჩამოართო ჩვენება სასინოლა კანტორის პროკურორის ხაზინადარის მიერ გაფლანგულ 206 ათას მანეთის შესახებ.

\* საქართველოს ექსპარხოსმა მიიღო უწყ. სინოლა ცირკულიარი, იგი შეეხება საეკლესიო საქმის მოწყობას. ცირკულიარში მოხსენებულია განსახილველი საგნები. ეს საგნები აქ უნდა განიხილოს და შემდეგ მოხსენებანი გაეგზავნოს სინოდს. ი, თვით განსახილველი საკითხები: 1. რუსეთის გაყოფა ოლქებად მიტროპოლიტების გამგებლობით (განზრახულაა სულ ოთხი ოლქი: ერთად კავკასია ქენება); 2. მრგვლი და საეკლესიო საკუთრების მქმნა; 3. გაუმჯობესება სასულიერო სემინარიებისა; 4. სავაბაქო კრებები და 5. სამღვდლოების მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში და სარწმუნოებრივი საკითხები. ექსპარხოსის განკარგულებით უკვე შესდგა კომისიები ამ საკითხების განსახილველად. პირველ საკითხის განსახილველად შემდგარ კომისიაში არიან თავმჯდომარედ—ენისკოპოსი ექვთიმე, წევრებად: მღვდ. ტყემალაძე, კონტრიტე, თალაკვაძე, ჯაში და სახინოლა კანტორის პროკურორი; მეორე საკითხისა: თავმჯდომარედ—მღვდ. გოროდცვი, წევრებად მღვდ. რაზუმოვი, ცინცაძე, გამრეკელი და შავარაშვილი. მესამე საკითხის გამო შესდგა ორი კომისია, ერთს მიენდო სასულიერო სემინარიის საქმე, მეორეს—სასულიერო სასწავლებლებისა; პირველ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა

სემ. რეტორი, წევრებად: სემინარიის კორპორაცია, მღ. ჯიჯავაძე და ცინცაძე; მეორე კომისიის თავმჯდომარედ ტფ. სასულიერო სასწავლებლის ზღდა-მხედველი, წევრებად: კორპორაცია, მღ. კონტრიტე და გამდლიშვილი. მეოთხე საკითხის კომისიის თავმჯდომარედ—მღ. შოშიაშვილი, წევრებად: მღვდ. თათიბაძე, კაპანაძე და კატანავი. მეორე საკითხის თავმჯდომარედ—ოდოვეი, წევრებად: მახათაძე, მღ. მიხაილოვსკი და სლამოდიანოვი.

\* ყვირილელი ვაქრები გუბერნატორს სახოვენ, ნება მიეცეთ თავის ხარჯით დაიქირაონ 15 დარაჯი ყვირილაში წესიერების დისციპლინად, ძარცვა-გლეჯის მოსახშობლად და სისუფთავის დასამყარებლად. ამასთან ზესტაფონლები თხოულობენ, რომ გუბერნატორმა საცა ჯერ-არს, ნებართვა გამოუვანოს 15 ბერდანის და 15 რევოლუციის შექმნისა.

\* ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სასულიერო ორგანოს „საქართველოს სასულიერო უწყების“ საწარმოებლად შესდგა სარედაქციო კომისია სამის მღვდლისაგან. განახლებულის რედაქციით ჟურნალი უნდა გამოსულიყო ამ ოცთა ხანში. ჟურნალისათვის დამზადდა რამდენიმე წერილი ავტოკეფალიის და საზოგადოდ ქართულ ეკლესიის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ექსპარხოსის განკარგულებით ჟურნალი აღარ გამოვა. (ივ.)

\* ტფილისის სასინოლა კანტორის ხაზინადარის მიერ გაფლანგულ ფულიდან 45,000 მანეთი იმერეთის ეპარქიის ყოფილა.

\* 25 სექტემბერს, ქალაქის სხვადასხვა ადგილებში, საღამოს 7 1/2 საათზე, ვიღაც უცნობებმა რამდენიმე ყუმბარა ისროლეს. სამი ყუმბარა ისროლეს ორთაქალაში, კახაკთა მე-2 პოლტავის პოლკის მახლობლად. დაიჭრა ერთი კახაკი, ტფილისის პოლკის ორი ჯარის კაცი და ერთი დრაგუნის პოლკისა. დაჭრილები სახმედრო საავადმყოფოში მიიყვანეს. ყუმბარამ რომ იფეთქა, კახაკები კახარმიდან გამოუცივდნენ და ყუმბარების მსროლელებს თოფი დაუშინეს და დასჭრეს რამდენიმე ქუჩაში მოსიარულე კაცი. ყუმბარები ისროლეს აგრედვე ვოდოვოზნი ქუჩაზე, სადაც კახაკთა ერთი ასეული სცხოვრობს. 4 ყუმბარამ იფეთქა კახარმების ალყაფის კარებთან და მძიმედ დაიჭრა სამი კახაკი. მსროლელნი გაიქცნენ და თან რევოლვერებს ის-



# ბანსკალეა.

როდენე, რითაც დასტურეს კიდევ ერთი კაზაკი-თოფების სროლის დროს დაიჭრა, 1 ადგილობრივი მცხოვრები, რომლის ვინაობა ჯერ არ იციან; მის გვერდით სგატენილი ყუმბარა იპოვნეს. დაიჭრა აგრედევ, სასიკვდილოდ, პასტორი მიულდერეი, რომელიც ამ დროს ქუჩაში მიდიოდა. ამავე დროს სახანო თეატრის პირდაპირ ტრამეის ვაგონის ქვეშ პეტარდამ იფეთქა და ანანოვის სახლიდან ქუჩაში ცხენით მიმავალ კაზაკებს რევოლვერების სროლა დაუწყეს. კაზაკებმაც სროლითვე უპასუხეს. აქ მძიმედ დაიჭრა ბ. ბოიარსკი (გარდაიცვალა 26 სექ.) ყუმბარების აფეთქების ხმაზე ჯარების უფროსის კონვოის კაზაკები გამოცვივდნენ ერმოლოვის ქუჩაზე. აფიცრებმა უბრძანა, კაზარმებში შესულიყვნენ. როდესაც კაზაკები ალაყაფის კარებზე შეკედნენ, ვიღაცამ ყუმბარა ესროლა. მოკლულ იქმნა ერთი და დაიჭრა 11 კასაკი. ალაყაფის კარებთან ქვა-ფენილი მთლად დაგლეჯილია. აქვე დაიჭრა სათადარიგო ჯარის-ვაცი და მისი მცირე-წლოვანი შვილი. გარეშუთავან დაიჭრნენ: ოვაკიმ სოლომონიანიცი, არტემ ქასაბოვი, ალექსანდრე შარმაზანოვი, ზაქარია კოკოლაშვილი, კარაპეტ გრიჭურავი, სარქის ხარაზოვი, მიხეილ პარაჯანიანი და სისაც სააკობი. პასტორი მიულდერეი გარდაიცვალა. სხვათა შორის, ოთხი დაჭრილი კაცის ვინაობა არ იციან. ვოდნოვონი ქუჩაზე ორი გატენილი ყუმბარა იპოვნეს, რომელნიც არ აფეთქებულა. ორთაქალაში დაიჭრეს ყუმბარის მსროლელი ავაქ არუთინოვი.

მთიანეთის ადგილობრივი ანგარიშობა 1905 წლისათვის ო. ა. კირაულ გამომცემათა ქართულს

XXII წ. „მწყემს“-ზე XXII წ.

დ

XX წ. რუსულ «Пастырь»-ზე XX წ.

## ე უ რ ნ ა ლ ი ს უ ა ს ი :

12 თვით «მწყემსი» 3 მ. 6 თვით «მწყემსი» 2 მ. — „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მ. — „ორივე გამოცემა“ — „ორივე გამოცემა“

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვარიალაში რედაქციაში, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მღვდელ-მწიგნობარ ნაწილად სურს ხელმისაწვდომი ფულის შემოტანა მან ორივე ჟურნალისთვის უნდა წარმოადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ ივლისს. მარტო „მწყემსი“-სთვის: პირველ იანვარს ორი მან. და პირველ ივლისს ერთი მანეთი.

სოფლის მასწავლებელთა და ღარიბთა გახეხვები დაფინანსებით მთელის წლით ორივე გამოცემა სამ ქ ა ნ ე თ ა დ.

რედაქცია იმყოფება დ. ყვარიალაში რედაქტორის საკუთარ სახლში.

ზარემე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლია ამ ადრესით: Въ Квирілы, въ редакцію газеты и журналу „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაფინანსებით მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალში დაიცემა და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

**რედაქციისაგან.** ჩვენს დაბეჭდვებულ მაგისტრის გამო, ბ-ნ იანსე გამართულის სხასუსხ სტატის დაბეჭდვას ამ მომენტში ან მოასწრო.

რედ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

**სალიტიმბატორ ბანსკალეაზე:** ითანე ოკროპირი, როგორც მკადამებელი ძიუბისა და ერთობისა, მ. ვლ. ფ-მის, —მეკდრის რჩევა, თარ. მვლ. შინა მესხისა.—ზემო სვანეთი, სვე. კეკელიძისა.—ქალაქებისა და ეროვნის წარმომადგენელთა კრება.—გაზ. „თარჯიმანის“ ახრი ბაქის ამბების გამო.—წერილები: ქ. თელავი.—ქ. ურბია.—ეურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ვანცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლაბაშიძე, Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе  
Дозволено цензурою 30 сентября 1905 г.

Тивог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирілахъ въ собст. домѣ.